შპს „ჰიტეკო ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

თბილისი

2024

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და განმარტებით შენიშვნებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გარემოებები ამას შეუძლებელს ხდის.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტიანი და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის დადასტურებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია მისი სახელით 2024 წლის 15 ოქტომბერს:

გენერალური დირექტორი ---------- გიორგი მესხი

ფინანსური დირექტორი ---------- ელენე ახალკაციშვილი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

ფინანსური მდგომარეობა	**31/12/2023**	**31/12/2022**	**31/12/2021**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	57536	8325	124754
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	356330	82435	299840
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	108280	19579	953
სასაქონლო მარაგები	348098	439592	13063
ძირითადი საშუალებები	2354927	1813555	1523227
სულ გრძელვადიანი აქტივები	**2354927**	**1813555**	**1523227**
სულ აქტივები	**3225171**	**2363486**	**1961837**
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	95398	93137	18096
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	1066	1322	595
საბიუჯეტო გადასახადები	136017	108366	70967
ბანკის სესხი	1640079	1470626	1287575
სხვა ვალდებულებები	97485	56872	11891
სულ ვალდებულებები	**1970045**	**1730323**	**1389124**
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	1255126	633163	572713
კაპიტალი სულ	**1255126**	**633163**	**572713**
სულ საკუთარი კაპიტალი	1255126	633163	572713
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3225171	2363486	1961837
სულ მოკლევადიანი აქტივები	870245	439445	431797
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	**329966**	**259697**	**-**

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 15 ოქტომბერს შემდეგ პირთა მიერ:

გენერალური დირექტორი ---------- გიორგი მესხი

ფინანსური დირექტორი ---------- ელენე ახალკაციშვილი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(1 ლარი)

	31/12/2023	31/12/2022
სრული შემოსავალი	6424663	6235914
გაყიდვების თვითღირებულება	-2821669	-2899065
დასაქმებულთა ანაზღაურება	-1972730	-1160138
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-396910	-334725
საპროცენტო ხარჯი	-220311	-195886
იჯარის ხარჯი	-51923	-207589
რეკლამის ხარჯები	-7179,48	-6419,66
სპეცტექნიკით მომსახურება, პომპა	-14860,55	-423,73
ტრანსპორტირების ხარჯები	-4460,11	-20709,09
ლაბორატორიული კვლევებისა და საპროექტო სამუშაოების ხარჯები	-2073,73	-6626,79
იურიდიული მომსახურება	-8400	-7400
ელექტროენერგიის ხარჯი	-2404,82	-877,28
საკონსულტაციო ხარჯები	-16500	-8474,58
სხვა საგადასახადო ხარჯი	-15068,07	-130,5
წარმომადგენლობითი ხარჯი	-3906,31	-2874,83
იჯარის ხარჯი	-159195	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-105109	-1324125
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	**621963**	**60450**
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	**633163**	**572713**
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	**1255126**	**633163**

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 15 ოქტომბერს შემდეგ პირთა მიერ:

გენერალური დირექტორი ---------- გიორგი მესხი

ფინანსური დირექტორი ---------- ელენე ახალკაციშვილი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

ფულადი სახსრების შემოსვლა საოპერაციო საქმიანობიდან	**2023**	**2022**
სალაროს ნაშთის ბანკში შეტანა	33 065	-
სხვა შემოსავალი საოპერაციო საქმიანობიდან (კონვერსია)	55 410	14 421
მყიდველისგან მიღებული სახსრები	7 169 272	7 601 754
საქვეანგარიშო თანხების შემოსავალი	13 608	33 100
საგარანტიო თანხები	20 543	-
ზედმეტად ჩარიცხული თანხის დაბრუნება	40 147	21 217
ავანსად ჩარიცხული	89 112	109 042
შეცდომით ჩარიცხული თანხის დაბრუნება	8 010	2 175
საკრედიტო ხაზი	4 281 445	3 596 197
ბიუჯეტის ზედმეტობა	-	15 745
ზარალის ანაზღაურება	265	-
საპარული ჯარიმა	80	-
ანგარიშებს შორის	126 870	-
	11 837 828	**11 393 652**

ფულადი სახსრების გასავალი	2023	2022
სხვა გასავალი საოპერაციო საქმიანობიდან (კონვერსია)	-55914,84	-14678,27
მყიდველზე დაბრუნებულკი თანხები	-23212,52	-164259,28
ანგარიშვალდებულზე გაცემული თანხები	-250169,85	-175092,21
გაცემული ავანსები	-110547,7	-74604,93
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები	-3816916,1	-6245235,09
სარეკლამო ხარჯი	-6785,23	-6067,89
ხელფასი	-1786918,71	-1128765,24
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის მიმართ	-35473,65	-7554,3
საბაჟო გადასახადები	-29160	
სესხის ძირის დაფარვა	-4111991,16	-3413145,28
საბიუჯეტო გადასახადები	-1103915	-67805
სესხის პროცენტის დაფარვა	-343047,13	-195886,37
ხელფასთან დაკავშირებული სხვა ხარჯი	-47018	
ბანკის საკომისიო	-3669,65	-1626,96
ჯარიმები	-12610,5	-6547,57
საკურსო სხვაობა	-566,08	-376,34
დოკუმენტურად დაუდასტურებელი ხარჯი	-2455,92	-2436,32
საინვესტიციო თანხები	-47252	-6000
წარმომადგენლობითი	-992,52	
	- 11 788 617	**- 11 510 081**
ფულის სახსრები პერიოდის დასაწყისში	**8325,25**	**124754,32**
ფულის სახსრები პერიოდის ბოლოს	**57536,41**	**8 325**

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 15 ოქტომბერს შემდეგ პირთა მიერ:

გენერალური დირექტორი ---------- გიორგი მესხი

ფინანსური დირექტორი ---------- ელენე ახალკაციშვილი

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(1 ლარი)

	2023	2022	2021
საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში დაგროვილი კაპიტალი	633 164	572 713	546 957
გაცემული დივიდენდი	-	-	- 24 768
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	621 962	60 451	50 524
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1 255 126	633 164	572 713

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 15 ოქტომბერს ს შემდეგ პირთა მიერ:

გენერალური დირექტორი ---------- გიორგი მესხი

ფინანსური დირექტორი ---------- ელენე ახალკაციშვილი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

1. ძირითადი ინფორმაცია

შპს „ლენდლორდი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია რეგისტრირებულია 2018 წლის 5 ივლისს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია - 405279185. იურიდიული მისამართია - საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, ჟ.შარტავას ქ.#14ა. ბ-6

სადამფუძნებლო შეთანხმებით კომპანიის გენერალური დირექტორია გიორგი მესხი

კომპანია ახორციელებს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობას.

2023, 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100% იანი წლის მფლობელია გიორგი მესხი

2. საქართველოს ბიზნეს-გარემო

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში და მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები. საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას.
განვითარებადი ქვეყნისთვის დამახასიათებელია ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, რაც ხშირად წარმოშობს საკამათო საკითხებს სახელმწიფო ორგანოებსა და მოქმედ კომერციული კომპანიებს შორის.

3. მომზადების საფუძველი

ა) მომზადების ძირითადი საფუძველი

კომპანიის 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ

გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის

თანახმად. აღნიშნული კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, კომპანიის წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი სავალდებულო არ არის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. თუ არ დადგება მიმდინარე სასამართლოს წაგების ფაქტი.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით.

ფინანსური ანგარიშგების „ფასს“-თან შესაბამისობით მომზადება მენეჯმენტისგან ითხოვს დაშვებების, შეფასებებისა და მოსაზრებების გამოთქმას, რომლებიც მოქმედებენ ფინანსური აღრიცხვის პოლიტიკების გამოყენებასა და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლისა და ხარჯების, ასევე პირობითი აქტივებისა და ვალდებულებების ანგარიშგებულ თანხებზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ხსენებული შეფასებებისგან. შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილება კერძოდ აკრედიტაციის შეწყვეტა და სასამართლო დავის წაგება, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე .

ბ) საანგარიშგებო პერიოდი

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლის ბოლოს მდგომარეობით მონაცემები იგივეა, რაც მომდევნო წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოყვანილი მონაცემები.

გ) წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

დ) გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

ლარი/1 USD 31.12.2023 2.6894
ლარი/1 EURO 31.12.2023 2.9753

1. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია ის არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც მოხდა კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება.

ა) შემოსავალი მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

კომპანია შემოსავლებს აღრიცხავს ფასს 15-ის შესაბამისად, რომელიც მოიცავს, მცირე გამონაკლისებით, კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებულ ყველა ტიპის შემოსავალს. ფასს 15 აქვს 5 ეტაპიანი მოდელი კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლის აღსარიცხად და მოითხოვს, რომ შემოსავალი აღიარდეს იმ თანხით, რაც ასახავს სუბიექტის მიერ გაწეული მომსახურების ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მოსალოდნელ მისაღებ საზღაურს.
ფასს 15 მოითხოვს სუბიექტებისგან, რომ კლიენტებთან ხელშეკრულებების აღნიშნული მოდელის თითოეულ ეტაპზე გამოიყენონ საკუთარი განსჯა, ყველა დაკავშირებული ფაქტების და გარემოებების გათვალისწინებით. სტანდარტი ასევე განსაზღვრავს ხელშეკრულების მოპოვების ზღვრული ხარჯების და ხელშეკრულების შესრულებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯების აღრიცხვის წესს. ამასთან, სტანდარტი დამატებით მოითხოვს ვრცელ განმარტებით შენიშვნებს.

ბ) სხვა შემოსავლები და ხარჯები

უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული სარგებელი ან ზარალი წარმოდგენილია წმინდა ღირებულებით, იქიდან გამომდინარე, უცხოური ვალუტის მოძრაობით მიღებული შედეგი წმინდა შემოსავალია თუ წმინდა ხარჯი.

კომპანიის სხვა შემოსავალს წარმოადგენს ოფისის და ავტომანქანების იჯარა, ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული მოგება, და სხვა შემოსავალი. კომპანია შემოსავალს აღიარებს იმ პერიოდის შესაბამისად, რა პერიოდშიც ხდება შემოსავლის მიღება და ასახავს მას მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

გ) დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

ხელფასები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.
თანამშრომელ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები აღიარდება გაწეული მომსახურების საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით, თუ კომპანიას გააჩნია ამ თანხის სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში დასაქმებულ პირთაგან მიღებული მომსახურების საფუძველზე და ეს ვალდებულებები შეიძლება შეფასდეს საიმედოდ.

დ) გადასახადები

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორიც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში ჯერ არ შესულა.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო

ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის, შესაბამისად, არ გააჩნიათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

2017-2023 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

ე) მარაგები

მარაგები შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და სხვა დანახარჯებს, რომელიც მოიცავს მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის

და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდი ფასი, შემცირებული იმ მოსალოდნელი დანახარჯებით, რაც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან.

ვ) წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.
სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

ზ) ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა/ამორტიზაცია ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირითადი საშუალების და არამატერიალური აქტივების
თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან
დაკავშირებული იმპორტის
გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით.
ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შეყიდვის ან მშენებლობის ფასს.
მცირე შეკეთება განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.
ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.
ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა/ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.
ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, გაუფასურებული აქტივის ჩამოფასება ხდება უმაღლეს თანხამდე შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას

გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება. ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებთ განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

თ) ცვეთა

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობას ცვეთა ერიცხება საშუალო შეწონილი მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადის პერიოდის განმავლობაში (2-3 წელი), რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში. ცვეთა სხვა დანარჩენ ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებზე გამოითვლება შემცირებადი ნაშთის მეთოდით:

	სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობა
მანქანა-დანადგარები	-3-5-7 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	- 5 წელი
ოფისის აღჭურვილობა	- 3-5-7წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	- 5 -7 წელი

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მოსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

ძირითადი საშუალებების შეძენის თვე ცვეთის დარიცხვის მიზნებისთვის აიღება როგორც სრული თვე, ხოლო ძირითადი საშუალების გასვლის თვე ცვეთის დარიცხვის დროს არ გაითვალისწინება.

ძირითადი საშუალება იცვითება იმ თვიდან, როდესაც ხდება მისი ექსპლუატაციაში გაშვება ან ის მზადაა ექსპლუატაციაში გაშვებისთვის.

კომპანია არამატერიალურ აქტივებს აღრიცხავს მათი თვითღირებულებით (ისტორიული ღირებულება) გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10% (10 წელი);

ი) ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც წარმოშობს ფინანსურ აქტივს ერთი კომპანიისთვის და ფინანსურ ვალდებულებას ან კაპიტალის ინსტრუმენტს მეორე კომპანიისთვის.

ფინანსური აქტივი

პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები თავდაპირველად და შემდგომში აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, რეალური ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით და რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და კომპანიის ბიზნეს მოდელზე, რომელსაც გამოიყენებს მათ სამართავად

გამონაკლისია სავაჭრო მოთხოვნები, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა. თავდაპირველად, კომპანია რეალური ღირებულებით აფასებს ფინანსურ აქტივს, იმ შემთხვევაში თუ ფინანსური აქტივი არ აღირიცხება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით, გარიგების თვითღირებულებით.

სავაჭრო მოთხოვნები რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღირიცხება გარიგების ღირებულებით, ფასს 15-ის შესაბამისად.

იმისათვის რომ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდეს და შეფასდეს ამორტიზირებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით, მან

უნდა წარმოშვას ფულადი ნაკადები, რომელიც დაკავშირებული იქნება „მხოლოდ ძირის და პროცენტის გადახდებთან“ (SPPI) ნარჩენ ძირ თანხაზე. აღნიშნული შეფასება მოიხსენიება როგორც SPPI ტესტი და ხორციელდება ინსტრუმენტის დონეზე.

ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი დაკავშირებულია იმასთან თუ როგორ ახდენს კომპანია ფინანსური აქტივების მართვას ფულადი ნაკადების დასაგენერირებლად. ბიზნეს მოდელი განსაზღვრავს, როგორ ხდება ფულადი ნაკადების შემოდინება, იქნება ეს სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, ფინანსური აქტივის გაყიდვით, თუ ორივე ერთად. ფინანსური აქტივის ყიდვა ან გაყიდვა, რაც მოითხოვს აქტივის მიწოდებას მოქმედი რეგულაციით ან ბაზარზე არსებული კონვენციით განსაზღვრულ ვადებში, აღიარდება ვაჭრობის თარიღით, რომელიც წარმოადგენს იმ თარიღს, როდესაც კომპანია ვალდებულებას იღებს, რომ შეიძენს ან გაასხვისებს აქტივს.

შემდგომი აღიარება

შემდგომი აღიარების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ოთხ კატეგორიად:

• ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები);

• ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვით, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით. (სასესხო ინსტრუმენტები);

• ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვის გარეშე, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (კაპიტალის ინსტრუმენტები);

• ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის გავლით, სესხები, სავაჭრო ვალდებულებები, ან ჰეჯირების ინსტრუმენტებად განსაზღვრულ დერივატივად ეფექტურ ჰეჯში.

ყველა ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო სესხის და ვალდებულებების შემთხვევაში პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯების გამოკლებით.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და სესხებს საბანკო ოვერდრაფტის ჩათვლით.

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, როგორც აღწერილია ქვემოთ:

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულების გაუქმება, გათავისუფლება ან ვადის გასვლა. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ახლით ჩანაცვლება იგივე მსესხებლისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია აღიარდება, როგორც არსებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

კ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული კომპანიის სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე ან დეპოზიტზე 3 თვეზე მცირე ვადით.

ლ) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები წარმოადგენენ ყველა მიმდინარე მოთხოვნებს მომსახურებიდან და მიწოდებიდან, წინასწარ გადახდილი გადასახადების და წინასწარ გაწეული ხარჯების გარდა.

სავაჭრო და სხვა დებიტორული მოთხოვნების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით,გამოკლებული გაუფასურების დანაკარგი. დებიტორული დავალიანების გაუფასურების დანაკარგი ჩამოყალიბებულია, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები, რომ კომპანია ვერ შეძლებს ყველა თანხის შეგროვებას მისაღები მოთხოვნების მიხედვით.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილებების ოდენობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშებზე. ნებისმიერი მოთხოვნის ჩამოწერის ასახვა ხდება არსებული საეჭვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. ყველა სავაჭრო მოთხოვნა, პირდაპირ ჩამოიწერება და აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალში.

მ) აქტივების გაუფასურება

კომპანია ეწევა ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში, ასევე აქვს სხვა ხარჯები, რაც არ უკავშირდება მის ძირითად საქმიანობას.

ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლებს შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით. თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით. ხარჯის აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ხარჯი აღარ ქმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან როცა მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ შეესაბამება ან აღარ შეესაბამება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივად აღიარების მოთხოვნებს.

ნ) ხარჯების აღიარება

კომპანია გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში, ასევე აქვს სხვა ხარჯები, რაც არ უკავშირდება მის ძირითად საქმიანობას. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლებს შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით. თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით. ხარჯის აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ხარჯი აღარ ქმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან როცა მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ შეესაბამება ან აღარ შეესაბამება ბალანსში აქტივად აღიარების მოთხოვნებს.

ო) იჯარა

რისკისა და სარგებლის გადაცემას, წინააღმდეგ შემთხვევაში, კლასიფიცირდება როგორც ოპერაციული იჯარა.

იჯარის კლასიფიცირება ხდება იჯარის წამოწყების თარიღისთვის, ხოლო მისი ხელახლა შეფასება - მხოლოდ იჯარის (საიჯარო ხელშეკრულების) მოდიფიკაციის შემთხვევაში. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები (მაგალითად, საიჯარო აქტივის ეკონომიკური მომსახურების ვადის ან ნარჩენი ღირებულების), ან სხვა გარემოებების შეცვლა (მაგალითად, მოიჯარის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობა) არ იწვევს იჯარის ხელახალი კლასიფიკაციის აუცილებლობას მისი აღრიცხვის მიზნებისათვის.

კომპანია როგორც მოიჯარე

ნებისმიერი ახალი ხელშეკრულების დაწყებისას რომელიც დადებულია 2021 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ, კომპანიამ უნდა შეაფასოს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას.

იჯარა განიმარტება როგორც ხელშეკრულება, ან ხელშეკრულების ნაწილი, რომლის თანახმად სხვა მხარეს გადაეცემა აქტივის (საიჯარო აქტივის) გამოყენების უფლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ.

ამ განმარტების გამოსაყენებლად კომპანიამ უნდა შეაფასოს:

ა) კონტრაქტი შეიცავს თუ არა იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში. როგორც წესი, აქტივი პირდაპირ არის განსაზღვრული ხელშეკრულებაში. თუმცა, ასევე შესაძლებელია, რომ აქტივის

იდენტიფიცირება არაპირდაპირი გზით მოხდეს იმ მომენტში, როდესაც აქტივი გამოყენებისთვის ხელმისაწვდომი ხდება მომხმარებლისთვის.
ბ) ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან არსებითი სარგებლის მიღების უფლება. აქტივის გამოყენებით ეკონომიკური სარგებლის უმეტესი წილის მიღების უფლების არსებობის შეფასებისას, საწარმომ ეკონომიკური სარგებლის ის სახეები უნდა განიხილოს, რომლებიც აქტივის გამოყენებით მიიღება აქტივის გამოყენებაზე მომხმარებლის უფლებებისთვის დადგენილ გარკვეულ საზღვრებში. კომპანია განსაზღვრავს, როგორ და რა მიზნით გამოიყენება აქტივი გამოყენების პერიოდის განმავლობაში.

იჯარის შეფასება და აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.
იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება უნდა მოიცავდეს: საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას; საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით; მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს და იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის

აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ეს დანახარჯები გაწეულია მარაგის საწარმოებლად.
მოიჯარეს ამგვარი დანახარჯების ვალდებულება წარმოეშობა ან იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან გარკვეულ პერიოდის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების შედეგად.
მოიჯარემ აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთას არიცხავს იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი.
იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის.
იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარე საიჯარო ვალდებულებას აფასებს შემდეგნაირად: ზრდის ღირებულებას საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტის ასახვით; ამცირებს საბალანსო ღირებულებას განხორციელებული საიჯარო გადახდების ასახვით; და თავიდან აფასებს საბალანსო ღირებულებას საიჯარო გადახდების ცვლილებების შემთხვევაში.
მოიჯარის მიერ საიჯარო ვალდებულების თავიდან შეფასებისას კორექტირდება აქტივის გამოყენების უფლება იჯარის ყველა სხვა მოდიფიკაციის გათვალისწინებით, ხოლო იმ

შემთხვევაში თუ აქტივის გამოყენების უფლება ნულის ტოლია, მოიჯარემ მოგება/ზარალში უნდა აღიაროს ნებისმიერი მოდიფიკაცია.
კომპანიამ გადაწყვიტა გამოიყენოს განთავისუფლების უფლება და მოკლევადიან იჯარასთან, ან დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებით დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღიაროს ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში.
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, აქტივის გამოყენების უფლება შესაძლოა აღირიცხოს ძირითად საშუალებებში ან განცალკევებულად, ხოლო საიჯარო ვალდებულება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ან განცალკევებულად.

პ) მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის მოგება - ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავლებსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა და პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვისა და ფინანსური შედეგებისათვის.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა და ამორტიზაციის კოეფიციენტი: კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობისა და ამორტიზაციის კოეფიციენტების შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული დაძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი *საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის* შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ მონაცემებზე.

იჯარის გაგრძელების უფლება: როდესაც საწარმოს აქვს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება, ხელმძღვანელობამ უნდა შეაფასოს, საკმარისად სარწმუნო იქნება თუ არა ამ უფლების გამოყენება. ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა ფაქტს და გარემოებას, მათ შორის წარსულ გამოცდილებას და ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც გაწეული იქნება აქტივის შესაცვლელად, თუ ეს უფლება არ იქნება გამოყენებული, რაც მათ დაეხმარება საიჯარო

პირობების განსასაზღვრად. ხელმძღვანელობა თვლის რომ მათი შეფასება ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით ადეკვატურია.

5, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021
ფული ბანკში ეროვნულს ვალუტაში	57534,91	8325,24	124 635,45
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში ექვ.ლარი	1,5	-	118,87
	57536,41	**8325,24**	**124754,32**

კომპანიას ანგარიშები გახსნილი აქვს საქართველოს ერთ კომერციულ ბანკში - სს „თიბისი ბანკი“ .

6, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021
სავაჭრო მოთხოვნები	**129,178**	**26,774**	**299,840**
საგარანტიო მოთხოვნები	**227,152**	**55,600**	**-**
გადახდილი ავანსები	**93,212**	**19,579**	**953**
სხვა მოთხოვნები	**15,068**	**61**	**-**
	464,610	**102,014**	**300,793**

7, მარაგები

	31.12.2023	31.12.2022
საქონელი	147	495
ნედლეული და მასალები	182771	149206
სათადარიგო ნაწილები	-	4861
საწვავი	4255	2986
სამშენებლო იარაღები	160925	282044
	348098	**439592**

9, ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

	01.01.2022						
ძირითადი საშუალება დასახელება	ისტორიული	შეძენა 2022	შემცირება 2022	საწყისი 2023	შეძენა 2023	შემცირება 2023	საბოლოო 2023
ძირითადი საშუალებები	**1 735 860**	**626 834**	**3 559**	**2 359 134**	**1 014 944**	**101 996**	**3 272 082**
მაწქანა-დაწადგარები	131 211	70 803	3 559	198 456	14 250	-	212 706
სამშენებლო იარაღები	-	17 590	-	17 590	11 138	-	28 728
სამშენებლო ყალიბები და პანელები	-	-	-	-	527 358	-	527 358
ოფისის აღჭურვილობა	25 172	25 970	-	51 142	8 245	-	59 387
ავეჯი და სხვა ინვენტარი	796	644	-	1 440	2 887	-	4 327
სატრანსპორტო საშუალებები	1 578 681	477 175	-	2 055 855	359 422	101 996	2 313 281
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	-	34 651	-	34 651	88 351	-	123 002
არამატერიალური აქტივები	-	-	-	-	3 293	-	3 293

		საწისი 2022	ცვეთის გადახურვა	ცვეთა 2022	საწყისი 2023	ცვეთა 2023	საბოლოო 2023
ძირითადი საშუალებების ცვეთა	**-**	**212 633**	**1 780**	**334 726**	**545 579**	**396 910**	**917 155**
მაწქანა-დაწადგარების ცვეთა	-	22 431	1 780	25 472	46 124	29 725	75 849
სამშენებლო იარაღების ცვეთა	-	-	-	1 752	1 752	10 247	12 000
სამშენებელო ყალიბების და პანელების ცვეთ	-	-	-		-	33 195	33 195
ოფისის აღჭურვილობის ცვეთა	-	2 853	-	8 153	11 006	12 536	23 541
ავეჯისა და სხვა ინვენტარის ცვეთა	-	80	-	245	325	534	859
სატრანსპორტო საშუალებების ცვეთა	-	187 269	-	299 104	486 372	310 673	771 711

	საწყისი 2022	**საბოლოო 2022**	**საბოლოო 2023**
სულ ძირითადი საშუალება	**1 523 227**	**1 813 555**	**2 354 927**

კომპანიის ბალანსზე არსებული სატრანსპორტო საშუალებები 2023, 2022და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის დატვირთული გირავნობით.

10, აქტივი გამოყენების უფლებით

წლების განმავლობაში კომპანიას იჯარით აღებული აქვს საოფისე ფართი.ასევე ეკონომიკური საქმიანობის წარმოებისთვის აქტივების მართვის და განვითრების სააგენტოსგან აღებული აქვს იჯარით არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულიბის მიწის ნაკვეთი, სადაც განთავსებული არის კომპანიის კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებები და ტექნიკა.

11, სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021
მიღებული ავანსები	339	--	--
სავაჭრო ვალდებულებები	94619	92697	26087
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	1066	1322	595
სხვა ვალდებულებები	440	440	440
საიჯარო ვალდებულებები	567	--	--
	97031	**94459**	**27122**

12, წინასწარ გადახდილი და გადასახდელი გადასახადები

2016 წლამდე საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, საგადასახადო ორგანოში არსებობდა სხვადასხვა სააღრიცხვო ბარათები სხვადასხვა გადასახადების მიხედვით. შესაბამისად, შესაძლებელი იყო, რომ ერთ გადასახადში კომპანიას ჰქონოდა გადასახადის ზედმეტობა, ხოლო მეორე გადასახადში - საგადასახადო დავალიანება.
2016 წლის დასაწყისში საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით გაერთიანდა გადასახადების ბარათები და საწარმოს დავალიანება/ავანსი ბიუჯეტის მიმართ ავტომატურად აისახება ერთიან საგადასახადო ბარათზე ჯამურად.
კომპანია ძირითადად ხუთი ტიპის გადასახადის გადამხდელია: საშემოსავლო გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი, ქონების გადასახადი, მოგების გადასახადი და საბაჟო გადასახდელები.

2023 წლის 31 დეკემბრის მონაცემით ბიუჯეტის მიმართ წარმოქმნილი ყველა ამ გადასახადის გადასახდელი ვალდებულება შეადგენდა 136 016 ლარს.

14, შემოსავალი

	31.12.2023	31.12.2022
საქონლის გაყიდვიდან	221066	92218
მომსახურების გაწევიდან	6203299	6086828
სხვა	298	56828
	6203298	**6235914**

15, თანამშრომელთა ხელფასები და სხვა სარგებელი

	31.12.2023	31.12.2022
ხელფასი	-1972730	-1160138
სხვა დასაბეგრი განაცემი	-27955	-265
	-2000685	**-1160403**

16. საწვავის ხარჯი

	31.12.2023	31.12.2022
ბენზინი	-3097	-6374
დიზელი	-705369	-959018
გაზი	-8732	-8022
	-717198	**-973414**

17. იჯარის ხარჯი

	31.12.2023	31.12.2022
ავტომობილის იჯარა	-153185	-144700
ფართის იჯარა	-51922	-53627
სამშენებლო კონსტრუქციის იჯარა	-9261	-6071
	-214368	**-204398**

18. მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან

	2023 წელი	2022 წელი
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება		
ფული და ფულის ექვივალენტი	-566	-376
	-566	**-376**

19. სხვა შემოსავლები

	2023 წელი	2022 წელი
საქონლის გაყიდვიდან	221066	92218
მომსახურების გაწევიდან	5560253	6060549
ტექნიკის იჯარა	643045	26279
სხვა შემოსავალი	298	56868
	6424662	6235914

20. სხვა ხარჯები

ხარჯის დასახელება	2023 წელი	2022 წელი
მიწოდების ხარჯები	41 161	57 880
რეკლამის ხარჯები	7 179	6 420
სპეცტექნიკით მომსახურება, პომპა	14 861	424
ტრანსპორტირების ხარჯები	4 460	20 709
ტექინსპექტირება	1 465	695
შედუღებითი სამუშაოების ხარჯები	-	381
ჰორიზონტალური ბურღვა	-	15 207
ლაბორატორიული კვლევებისა და საპროექტო სამუშ	2 074	6 627
იურიდიული მომსახურება	8 400	7 400
მიწოდების სხვა ხარჯები	2 722	17
ბანკის მომსახურების საკომისიო	5 419	4 025
მივლინება	9 170	150
საკანცელარიო ხარჯი	1 222	981
ნაგავსაყრელის მომსახურება	114 558	73 799
საჯარო რეესტრის ხარჯი	-	353
სსიპ მომსახურებები	7 365	1 191
ციფრული მარკეტინგის მომსახურება	2 180	4 000
ოფისის ხარჯი	1 140	265
საოფისე ინვენტარი	21	80
კომუნალური ხარჯი	3 042	3 367
ელექტროენერგიის ხარჯი	2 405	877
წყლის ხარჯი	637	793
ქსელზე მიერთების ხარჯი	-	1 697
სერვერის მომსახურება	3 958	-
სამეურნეო ხარჯი	571	59
ჯიპიესის მომსახურება	2 132	-
კომუნიკაციის ხარჯები	6 977	6 138
ნოტარიუსის ხარჯი	12	-
დაზღვევა	1 482	1 705
კომპიუტერის ხარჯები	199	80
საკონსულტაციო ხარჯები	16 500	8 475

სხვა საგადასახადო ხარჯი	15 068	131
წარმომადგენლობითი ხარჯი	3 906	2 875
სხვა ხარჯი	-	595
დაცვის მომსახურების ხარჯი	8 439	20 058
უსაფრთხოება	6 593	17 288
აღსრულების ხარჯი	-	1 620
მანქანის წაწილები	413 343	274 002
საპროცენტო ხარჯები	220 312	195 886
სესხის ჯარიმები	-	157
არასაოპერაციო ზარალი	46 810	1
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	20 582	21 864
სხვა ჯარიმები	20 576	21 746
განსაკუთრებული შემოსავლები და ხარჯები	19 439	10 029
განსაკუთრებული ხარჯები	19 439	10 029
საპატრულოს და ვიდეო ჯარიმები	16 615	5 016
ქველმოქმედება	-	4 200
განსაკუთრებული ხარჯები	-	720
დოკუმენტურად დაუდასტურებელი ხარჯები	2 819	-
გადაფორმების ხარჯები	-	93
სხვა ხარჯები	784	6 562
ბიუჯეტის საურავები და ჯარიმები	-	3 630
მოგების გადასახადით დასაბეგრი ხარჯი	-	2 932
	1 076 035	823 229

21. დივიდენდის განაწილება

2021 წელს გაცემული დივიდენდი განაწილებულია 2017 წლის 1 იანვრის შემდგომი საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგებიდან, რომლის მოგების გადასახადი დარიცხული და დაბეგრილია ამავე პერიოდში. გაცემული დივიდენდის ოდენობა შეადგენს 21052,63 ლარს. შემდგომ პერიოდებში ხდება თანხების ინვესტირება და არ გასულა დივიდენდი საწარმოდან.

22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდში მნიშვნელოვან მოვლენებს, რომლებიც შეიძლება იწვევდეს ფინანსური ანგარიშგების მუხლების შესწორებას ან განმარტებითი შენიშვნების დამატებას, ადგილი არ ჰქონია.

23. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული და გამოსაცემად ნებადართულია 2024 წლის 15 ოქტომბერს კომპანიის მენეჯმენტის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

სააღრიცხვო პოლიტიკა

შპს "ჰიტეკო ჯგუფი" 405279185

სააღრიცხვო პოლიტიკა ძალაშია 2022 წ-ის 1 იანვრიდან.

1. ზოგადი ინფორმაცია

შ.პ.ს. „ჰიტეკო ჯგუფი„ ს/კ 405279185 რეგისტრირებულია საქართველოში 05/07/2018 წლიდან. საზოგადოების დამფუძნებელია გიორგი მესხი (პ/ნ 01024036825), 100% წილის მფლობელი. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება: დირექტორი - გიორგი მესხი (პ/ნ 01024036825), კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისის, საბურთალოს რაიონი, ჟიული შარტავას ქ., №14ა, ბინა 6. საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო. კომპანია ეწევა საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობას.

2. სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე სააღრიცხვო პოლიტიკა მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

3. შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში შეფასების ვალუტად ორგანიზაცია იყენებს ქართულ ლარს.

საწარმო ანგარიშგებაში იყენებს კლასიფიკაციას ხარჯების ფუნქციის მიხედვით. კომპანიის რწმენით, ეს მეთოდი სააღრიცხვო პოლიტიკის მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით. სააღრიცხვო პოლიტიკა მომზადებულია იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საზოგადოება წარმოადგენს ფუნქციონირებად ორგანიზაციას და ახლო მომავალში არ იგეგმება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია. აღნიშნულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სამართლიანად არის წარდგენილი ინფორმაცია ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის ფინანსური შედეგების შესახებ. პოლიტიკის მომზადების დროს ასევე გამოყენებულია ბუღალტრული ანგარიშგების მეთოდოლოგიით და ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციით განსაზღვრული და დამტკიცებული ანგარიშთა გეგმა.

4. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა ხორციელდება თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთის დაქვითვით. ცვეთის გამოთვლა წარმოებს წრფივი მეთოდით, ხოლო მძიმე ტექნიკაზე და ავტომობილებზე საგადასახადომეთოდით. სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგნაირად განისაზღვრება:

1. **ოფისის აღჭურვილობა - 5-7 წელი.**
2. **ავეჯი და სხვა ინვენტარი - 5-7 წელი.**
3. **მძიმე ტექნიკა და ავტომობილები-20%**

5. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. თუ სასაქონლო-მატერიალური მარაგი გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში და ზარალში.

6. შემოსავლები და ხარჯები

შემოსავლების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. შემოსულობები განიხილება იმ პერიოდის შემოსავლად, რომელ პერიოდშიც იქნა გამომუშავებული, მიუხედავად მისი სანაცვლო ფულადი სახსრებისა, ან სხვა ეკონომიური კომპენსაციის ფაქტიურად მიღების მომენტისა. შემოსავლები აღირიცხება და ანგარიშგებაში აისახება წმინდა ღირებულებით. ხარჯების აღიარება ხდება

დარიცხვის მეთოდით. დანახარჯები განიხილება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იგი წარმოიშვა და უზრუნველყო ეკონომიური სარგებლის მიღება, მიუხედავად ხარჯების ფაქტიურად დაფარვის მომენტისა; შემოსავლები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება მისი წყაროების მიხედვით; ხარჯები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით.

7. მოგების გადასახადი

საზოგადეობა მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება. კომპანია საკუთარ სააღარიცხვო პოლიტიკაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

8. საგადასახადო ვალდებულებები

გადასახადების გაანგარიშება და გადახდა ხორციელდება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით, და ისახება ანგარიშგებაში საგადასახადო კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად.

9. ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლისა ან/და მომსახურებების რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა საქონელი და/ან მომსახურება. კერძოდ მყიდველისთვის ზედნადების ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერისთანავე.

10. იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად. გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგება-ზარალში საიჯარო პერიოდის განმავლობაში.

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ხორციელდება საკრედიტო ან/და ნაღდი პირობებით, რომლებიც ორგანიზაციის ბალანსზე აღირიცხება და წარმოდგენილია დებიტორული დავალიანების, ფულადი სახსრების და მისი ექვივალენტების, სახით. პროდუქტის თავდაპირველი შეფასება ხდება რეალურ ღირებულებას დამატებული საოპერაციო დანახარჯები. ორგანიზაცია ფინანსურ ინსტრუმენტებს ბალანსში ასახავს მაშინ, როდესაც ორგანიზაცია გახდება ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული გარიგების მონაწილე.

12. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო ან/და ნაღდი პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში (ასეთი შემთხვევის არსებობის შემთხვევაში), საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა არასაოპერაციო შემოსავალში ან არასაოპერაციო სხვა ხარჯებში

13. დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

ხელფასის დარიცხვა ხდება ხელშეკრულებში გათვალისწინებული თანხის შესაბამისად, საქართველოში მოქმედი საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

14. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიას ფულადი სახსრების მოძრაობა უფიქსირდება საბანკო ანგარიშებზე. კომპანია ყველა ვალდებულების დაფარვას აწარმოებს უნაღდო ანგარიშსწორებით.

15. სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან ან სხვა საწარმოდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშო პერიოდის ბოლოს ფასდება მისი საბოლოო ღირებულებით, შემდეგ კი აისახება მოგება-ზარალში.
სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში/ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა დადასტურებულია შპს „ჰიტეკო ჯგუფის"-ს დირექტორის, გიორგი მესხის (პ/ნ01024036825) მიერ, რაც დასტურდება ხელმოწერით.

გიორგი მესხი: